შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (9.699)

21-26 სექტემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

თანადაფინანსების არეალი გაიზარდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ამიერიდან გაცილებით მეტი დედოფლისწყაროელი პაციენტი ისარგებლებს სტაციონალური მკურნალობის თანადაფინანსების პრინციპით. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ დრომდე არსებული სოციალური დახმარების დაფინანსების ან თანადაფინანსების წესი რაიონის ხელმძღვანელობას გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა. ამიტომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ ერთობლივად მიიღო გადაწყვეტილება, მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვის მოტივით სოციალურ პაკეტში ცვლილებები შეეტანა.

ვისი ინიციატივით შევიდა ეს პროექტი საკრებულოში და რამ განაპირობა მისი ინიცირება?-ამ შეკითხვით დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მივმართეთ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი:** „ეს იყო ერთობლივი, გუნდური გადაწყვეტილება როგორც საკრებულოსი, ისე გამგეობის. ჩვენ პერიოდულად მოგვმართავდნენ-ხოლმე დედოფლისწყაროელები, რომელთაც ჯანმრთელობის თვალსაზრისით უამრავი პრობლემა აწუხებდათ. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში კოლოსალური თანხებია გამოყოფილი მოსახლეობისთვის, თანადაფინანსების ნაწილში მაინც უხდებოდა შესვლა ჩვენს მოსახლეობას. ამიტომ გეგმიურ ოპერაციებზე ყველგან შევდივართ დაფინანსებაში. აქამდე, ძირითადად, ონკოლოგიური პაციენტების ოპერაციები ფინანსდებოდა, ამ გადაწყვეტილებამ კი არეალი მნიშვნელოვნად გაზარდა. ამ გადაწყვეტილებას ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰქონდა ყველას მხრიდან, რადგან, როდესაც საქმე ჩვენი თანამოქალაქეების დახმარებას ეხება, ყველანი სიამოვნებით ვაკეთებთ“.

ზვიად ჯავახიშვილი, **საკრებულოს თავმჯდომარე:** „ცვლილება, რომელიც სტაციონალური მკურნალობის თანადაფინანსებას გულისხმობს, მიმართულია ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ და იმ სოციალური ფონის გაუმჯობესებისაკენ, რომელიც არაერთი წარმატებული პროექტის მიუხედავად, ჯერ კიდევ მძიმეა.

საკრებულოს თითოეული გადაწყვეტილება გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებიდან. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს მიერ დამტკიცებული ცვლილება ბევრ ჩვენს თანამემამულეს დაეხმარება“.

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროში რთველი პრობლემების გარეშე მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რთველი აქტიურ ფაზაშია გადასული. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ყურძნის დაკრეფა მშვიდად მიმდინარეობს და არც მარნებს ექმნებათ პრობლემა ყურძნის ჩაბარებისას.

„რთველი 2015 დაიწყო. საკმაოდ კარგი ვენახებია და საკრეფადაც იოლია. რაც მთავარია, უკმაყოფილოები არ ვართ. ჩაბარების პროცესიც ნორმალურად მიმდინარეობს, ჯერ უარი არავის უთქვამს, მანქანა უკან არ მოსულა“ - განაცხადა სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებმა მევენახემ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ღვინის ქარხანაში ყურძნის მიღება უპრობლემოდ მიმდინარეობს. ქარხანა ყოველდღიურად იღებს ყურძენს.

18 სექტემბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 14 ათას ტონამდე ყურძენი. მათ შორის, 4 500 ტონამდე რქაწითელი, 5 300 ტონამდე საფერავი, 670 ტონამდე კახური მწვანე და 3 400 ტონაზე მეტი სხვა ჯიშის ყურძენი.

რთველი თანდათან გადადის აქტიურ ფაზაში - განვლილი დღე-ღამის განმავლობაში გადამუშავდა 2,4 ათას ტონამდე ყურძენი. რთველი კახეთის თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს. საგარეჯოს რაიონი ყურძნის კრეფის პროცესში მოგვიანებით ჩაერთვება.

კახეთში ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 32 ღვინის მწარმოებელი კომპანია, მათ შორის, 11 სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ღვინის საწარმო. ყურძნის გადასამუშავებლად მზადყოფნის მიზნით, ამ დროისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში სულ დერეგისტრირებულია 100-მდე ღვინის კომპანია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს წინასწარი მონაცემებით, წელს კახეთში 200 ათას ტონამდე ყურძენია მოსალოდნელი. აქედან 140 839 ტონა რქაწითელია, 52 417 საფერავი, 2 839 კახური მწვანე. ყურძნის ყველაზე მეტი მოსავალი 48 160 ტონა გურჯაანის რაიონშია მოსალოდნელი, 43 300 ტონა ყვარელში, 35 005 ტონა თელავში, 26 105 ტონა სიღნაღში, 20 000 ტონა საგარეჯოში, 12 800 ტონა ლაგოდეხში, 10 002 ტონა ახმეტაში, 5 625 ტონა დედოფლისწყაროში.

რქაწითელს სუბსიდიის ჩათვლით 60 - 70 თეთრად იბარებენ, საფერავს 85 თეთრად.

რთველის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ასევე მუშაობს ცხელი ხაზი 2 47 01 01 და სპეციალური ინტერნეტ საიტი www.rtveli2015.gov.ge.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

გვ.5

იან კელი – აშშ-ი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ მისწრაფებების მტკიცე მხარდამჭერი

გვ.2

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს

გვ.3

„ვიშოვე რკინის ქალამნები და მივდივარ სიმართლის საძიებლად!..“

გვ.4

ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს საქართველოს!

C M Y K

იან კელი – აშშ-ი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ მისწრაფებების მტკიცე მხარდამჭერი

ამერიკის შეერთებული შტატები იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ მისწრაფებების მტკიცე მხარდამჭერი, - ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა იან კელიმ, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, აშშ-ის ახლად დანიშნულ ელჩს საქართველოს მთავრობის მეთაურმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა. შეხვედრა ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

"გაოცებული ვარ იმ თბილი დახვედრით, რომელიც ვნახეთ მე და ჩემმა მეუღლემ თბილისში და პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის სწრაფი მიღებით. ძალიან კარგი და ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. ვისაუბრეთ ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრზე, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე. აშშ-ი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებების მტკიცე მხარდამჭერი. ვისაუბრეთ, როგორ შეგვიძლია, გავაფართოოთ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობები, გავხადოთ უფრო მრავალფეროვანი და ასევე, განვავითაროთ მომავალზე ორიენტირებული ურთიერთობები, რაც საქართველოს აქცევს წარმატების მაგალითად", - განაცხადა ელჩმა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ის ახალ ელჩს წარმატებული საქმიანობა უსურვა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილისა და იან კელის საუბარი არაფორმალურ გარემოში, მთავრობის ადმინისტრაციის ვერანდაზე გაგრძელდა.

საქართველოს პასპორტის აღება 21 სექტემბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით 70 ლარად იქნება შესაძლებელი

საქართველოს ბიომეტრიული პასპორტის აღებაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აქციას აცხადებს. აქციის ფარგლებში 21 სექტემბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით, პასპორტი 100 ლარის ნაცვლად 70 ლარად გაიცემა. სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, ბიომეტრიული პასპორტი ნებისმიერი ასაკის საქართველოს მოქალაქეზე გაიცემა.

პასპორტის მისაღებად განაცხადის ჩაბარება მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ იუსტიციის სახლის ფილიალში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, საზოგადოებრივ ცენტრში და ექსპრესს საზოგადოებრივ ცენტრში.

დაჩქარებული მომსახურების მიღების შემთხვევაში, მოქალაქემ პასპორტის საფასურთან ერთად (70 ლარი) დამატებით უნდა გადაიხადოს დაჩქარებული მომსახურების შესაბამისი საფასური: პასპორტის მიღება განაცხადის ჩაბარების დღეს - 105 ლარი; პასპორტის მიღება განაცხადის ჩაბარებიდან მეორე სამუშაო დღეს : 90 ლარი; პასპორტის მიღება განაცხადის მიღებიდან მესამე სამუშაო დღეს - 50 ლარი; პასპორტის მიღება განაცხადის მიღებიდან მეხუთე დღეს - 20 ლარი.

აქციის პირობები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ბიომეტრიული პასპორტის მისაღებად სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შეღავათებით (მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები - პასპორტი გაიცემა უფასოდ; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები- პასპორტი გაიცემა უფასოდ; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები —პასპორტის საფასური 50 ლარი; მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები — პასპორტის საფასური 50 ლარი; უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, თუ მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია-პასპორტი გაიცემა უფასოდ; არასრულწლოვანი საქართველოს მოქალაქე — პასპორტის საფასური 50 ლარი).

"ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" მოხალისეებს უმასპინძლეს

ეროვნულმა სასწავლო ცენტრმა "კრწანისმა" სსიპ "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" მოხალისეებს უმასპინძლა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მოხალისეთა კლუბის წევრებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებზე, ამ პროცესში საქართველოს შეიარაღებული ძალების როლსა და ნატოსთან თავსებადობის გაზრდაზე ესაუბრა. გენერალური შტაბის უფროსმა სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

ეროვნულ სასწავლო ცენტრ "კრწანისის" მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგუამ კი მოხალისეებს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსების, ამოცანისა და მიზნების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. მოგვიანებით შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დღესვე ახალგაზრდებმა ეროვნული სასწავლო ცენტრ "კრწანისის" სიმულაციური კლასებიც დაათვალიერეს.

კრწანისში ვიზიტი "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" ინიციატივითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

18 სექტემბერი წელის მონიტორინგის მსოფლიო დღეა

ეროვნულმა სასწავლო ცენტრმა "კრწანისმა" სსიპ "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" მოხალისეებს უმასპინძლა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მოხალისეთა კლუბის წევრებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებზე, ამ პროცესში საქართველოს შეიარაღებული ძალების როლსა და ნატოსთან თავსებადობის გაზრდაზე ესაუბრა. გენერალური შტაბის უფროსმა სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

ეროვნულ სასწავლო ცენტრ "კრწანისის" მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგუამ კი მოხალისეებს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსების, ამოცანისა და მიზნების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. მოგვიანებით შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დღესვე ახალგაზრდებმა ეროვნული სასწავლო ცენტრ "კრწანისის" სიმულაციური კლასებიც დაათვალიერეს.

კრწანისში ვიზიტი "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" ინიციატივითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

ქართული მხარისთვის პროგრამული უზრუნველყოფის გადაცემის აქტი გაფორმდა

საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხელი მოეწერა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თბილისის ოფისის მიერ სპეციალურად საქართველოსათვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის გადაცემის აქტს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები, ვლადიმერ გურგენიძე და გიგი გიგიაძე, საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IOM) მისიის ხელმძღვანელი, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე (ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი), ასევე, ჩეხეთის და პოლონეთის ელჩები საქართველოში.

აღნიშნული პროექტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა, რომლის ფარგლებშიც მოხდა პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა სამი ძირითადი მიმართულებით.

საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებ-გვერდის მეშვეობით http://www.geoconsul.gov.ge ელექტრონულად, სახლიდან გაუსვლელად დააყენონ განაცხადი საკონსულო მომსახურების მიღების მიზნით, რაც მათ საშუალებას აძლევს ელექტრონულად წარადგინონ მომსახურების მისაღებად საჭირო დოკუმენტები, რომელთა განხილვაც მოხდება წინასწარ. ვებ- გვერდზე შესაძლებელია სრული ინფორმაციის მოძიება საკონსულო მომსახურებებზე და მათი მიღების პროცედურებზე, რაც ხაზს უსვამს საკონსულო მომსახურების პროცესის სრულ გამჭირვალობას.

პროგრამის ფარგლებში ასევე შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა საკონსულო ფუნქციების განსახორციელებლად, რომლის მეშვეობითაც ყველა საკონსულო ფუნქცია ხორციელდება ელექტრონულ ფორმატში.

პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ფარგლებში ამოქმედდა რეადმისიის საქმეების მართვის სისტემა, რაც არის სრულიად ახალი და უპრეცედენტო მიდგომა რეადმისიის პროცესისადმი. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაც და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაც საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად, სხორედ საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოთ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ და ვიზის გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმებების წარმატებულ იმპლემენტაციას მიიჩნევს. რეადმისიის ელექტრონული სისტემაც ამ მიზანს ემსახურება. მასში ჩართულია საქართველოს საგარეო, შინაგან და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროები. ასევე პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ბელგიის, ნიდერლანდების, ავსტრიის, ესპანეთის, საბერძნეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მიგრაციის სამსახურები. უახლოეს მომავალში პროგრამაში ჩაერთვებიან იტალია, ირლანდია და ჩეხეთი.

სასამართლომ დავით კეზერაშვილი გაამართლა, გიგი უგულავას მიმართ კი ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა

დედაქალაქის ყოფილი მერის გიგი უგულავას თავისუფლება სულ რაღაც 24-საათიანი აღმოჩნდა. ერთდღიანი თავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დასრულდა.

რიყის ტერიტორიისა და "თბილსერვისის" საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისის ყოფილ მერის, გიგი უგულავას მიმართ ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, დავით კეზერაშვილი კი გაამართლა და პატიმრობა გაუუქმა. გიგი უგულავას 4 წელი და 6 თვე "თბილსერვისის" საქმეზე შეეფარდა.

რიყის ტერიტორიისა და "თბილსერვისის" საქმეზე დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას წინააღმდეგ საქმეზე მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ გადაწყვეტილება მიიღო. დედაქალაქის ყოფილი მერი გიგი უგულავა პატიმრობიდან 17 სექტემბერს გათავისუფლდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტლება, რომლის მიხედვითაც, გიგი უგულავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საუბარია 9-თვიან პატიმრობაზე. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ საკანონმდებლო ნორმა, რომელსაც გიგი უგულავა ასაჩივრდება, იმაზე მეტი ვადით უშვებს პირის პატიმრობაში ყოფნას, ვიდრე ეს კონსტიტუციით არის ნებადართული. ეს კი ხელყოფს მისი, როგორც ბრალდებულის, კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მეექვსე პუნქტებით დაცულ უფლებას.

ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი 7 წლის ვადით კოტე სულამანიძე გახდა

ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი 7 წლის ვადით კოტე სულამანიძე გახდა. მის კანდიდატურას მხარი 81-მა დეპუტატმა დაუჭირა.

სააგენტოს უფროსის კანდიდატურა სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ საბჭოსთან შეთანხმებით წარადგინა.

გარდა ამისა, დღეს პარლამენტმა მთავრობის მიერ შეთავაზებული სააგენტოს საბჭოს ოთხი წევრი დაამტკიცა, ხოლო საბჭომ მისი შემადგენლობიდან ხელმძღვანელად ირაკლი კოვზანაძე აირჩია.

სააგენტოს საბჭოში ასევე შედიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული ბანკის საბჭოს კიდევ ერთი წარმომადგენელი, რომელსაც თავად ეროვნული ბანკის საბჭო ნიშნავს.

ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან გასვლა კრიტიკისა და ხმაურიანი განხილვის საგანი იყო. პარლამენტის შესაბამის კანონპროექტზე პრეზიდენტმა ვეტოს უფლება გამოიყენა.

კიკ-ბოქსინგი

22-23 აგვისტოს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკ-ბოქსინგში. მონაწილეობდნენ ირანის, აზერბაიჯანის და საქართველოს გუნდები. ტურნირზე მიწვეული იყო სპორტული კლუბი „ზაქები".ფინანსების არ ქონის გამო შეჯიბრზე გუნდი ორი სპორტსმენით წარსდგა. მონაწილეობა მიიღო გიგა ნატროშვილმა და სანდრო ნატროშვილმა.

გიგა ნატროშვილმა ერთმანეთზე საუკეთესო ბრძოლები მოიგო. ნოკაუტებით დაამარცხა მოწინააღმდეგეები და დაიკავა პირველი ადგილი.

სანდრო ნატროშვილმა პირველი შეხვედრა საუკეთესოდ იბრძოლა და პირველ შეხვედრაზე გამარჯვებული დარჩა, ამასთან აქვე ფეხზე მიიღო ტრავმა, რის შედეგადაც დამარჩენი ბრძოლები ვეღარ გააგრძელა და დარჩა მესამე საპრიზო ადგილზე. „ზაქები" დაბრუნდნენ ერთი ოქროთი და ერთი ბრინჯაოთი ორი სპორტსმენიდან, რაც კარგი შედეგია.

მწვრთნელი
გენადი ნატროშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

1. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	ქალაქი დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.31.188	1500 კვ.მ.	4000	10%	5%	100
2	ქალაქი დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქუჩა (ყოფილი ყველმრეწვის ტერიტორია)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.37.131	78 კვ.მ.	390	10%	5%	100
3	დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო ს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.07.37.074	165 კვ.მ.	800	10%	5%	100
4	დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო ს მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ქედი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.11.32.069	337 კვ.მ.	1230	10%	5%	100

2. აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 5 (ხუთი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
5	ქ. დედოფლისწყარო კოსტავას ქ. N44	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართული. არასაცხოვრებელი ფართი	52.08.34.019	35 კვ.მ	420	10%	5%	100
6	ქ. დედოფლისწყარო ბარათაშვილის ქუჩა	ყოფილი ავტოსადგურის შენობა N1, N2	52.08.35.053		1610	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

პირველი აუქციონი დაიწყება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე. მეორე აუქციონი – 16 00 სთ-ზე. მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ.N44,

მე-3 სართული სართული, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222, კოდი-300533390 (არასასოფლო- სამეურნეო მიწის ნაკვეთი), კოდი - 300533212 (შენობა-ნაგებობების იჯარა);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

„ნენსკრაჰესის“ პროექტი იწყება

საქართველოს საპარტნიორო ფონდი და კორეული კომპანია „K Water“-ი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ჰიდროელექტროსადგურის, „ნენსკრაჰესის“ მშენებლობას დაიწყებენ - ჰიდროელექტროსადგურის პროექტის დაწყებას საფუძველი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაუყარა.

მთავრობის მეთაურმა ღონისძიების მონაწილეებს პროექტის დაწყება მიულოცა და „ნენსკრაჰესის“ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ნენსკრაჰესი“ არის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი, ისეთი მასშტაბის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი დასაყრდენი იქნება ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის და ენერგოდამოუკიდებლობისთვის. ამ პროექტს ვახორციელებთ ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპანიასთან, სამხრეთ კორეულ სახელმწიფო კომპანია K Water-თან ერთად, რომლის პარტნიორიც საქართველოს მხრიდან საპარტნიორო ფონდი იქნება. მშენებლობას ისეთი ცნობილი იტალიური კომპანია აწარმოებს, როგორიც არის Salini Impregilo. დღეს ჩვენ ვიწყებთ წინა მოსამზადებელ სამუშაოებს. ჩვენ აქ შევიკრიბეთ სიმბოლურად, რომ დავიწყოთ აღნიშნული სამუშაოები. პირველ რიგში ეს კომპანია ააშენებს და რეაბილიტაციას ჩაუტარებს სამშენებლო მოედანთან მისასვლელ გზებს და მობილიზებას გაუკეთებს სამშენებლო ტექნიკას", - განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, „ნენსკრაჰესის“ პროექტის ჯამური ინვესტიცია არის 1 მილიარდი ამერიკული დოლარი, ხოლო სესხის კომპონენტში მონაწილეობენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და კორეის „ექსიმ ბანკი“.

„ეს ჰესი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჰესი იქნება, რომლის სიმძლავრე იქნება 280 მეგავატი და მისი პოტენციური წლიური გამომუშავება იქნება 1.2 მლრდ კვტ/სთ.

სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას დაიწყებს 2019 წლიდან და 2021 წელს პროექტი საბოლოოდ დასრულდება. რაც ყველაზე მთავარია - ეს უზრუნველყოფს ზამთარში იმპორტირებული ელექტროენერგიის ჩანაცვლებას და ეს იქნება გარანტი იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემა გახდება ბევრად უფრო მდგრადი და დამოუკიდებელი", - განაცხადა პრემიერმა.

მისი განმარტებით, ინვესტორი ვალდებულია ააშენოს ჰესი, ოპერირება გაუწიოს მას 35 წლის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ, უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს.

„ჰესის მშენებლობა ემყარება Build-Operate-Transfer (BOT) მოდელს, რომლის თანახმადაც ინვესტორი ვალდებულია ააშენოს ჰიდროელექტროსადგური, ოპერირება გაუწიოს მას 35 წლის განმავლობაში და შემდეგ უსასყიდლოდ გადასცეს იგი საკუთრებაში საქართველოს სახელმწიფოს. „ნენსკრაჰესი“ იქნება საქართველოში პირველი პროექტი, რომელიც განხორციელდება ამ მოდელით და საბოლოოდ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება"-აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პროექტი პასუხობს ყველა თანამედროვე მოთხოვნას და მკაცრად არის დაცული ეკოლოგიური ნორმები.

პროექტის დაწყების ღონისძიებას ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი ირაკლი კოვზანაძე, კორეული კომპანია „K Water“-ის პრეზიდენტი გაევონ ჩოი, იტალიური კომპანია Salini Impregilo-ს პრეზიდენტი ლეოპოლდო კარლესიმო დაესწრნენ.

წმ. მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

„ბავშვებთან მუშაობა ჩემი ცხოვრებაა...“



საპატრიარქოს წიაღში სკოლების გახსნა 1991-92 წლებში დაიწყო. დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით ათეულობით სკოლა არსებობს, ისინი თავიდანვე მყარად ორიენტირებულნი იყვნენ ცოდნაზე და ამასთან ერთად, მათ მთავარ პრიორიტეტს ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს. უმცროს-უფროსის და თანატოლების გარჩევა, ნათესაური ურთიერთობების და იერარქიის გაცნობიერება ბავშვის სოციალიზაციის პირველი საფეხურებია, სწორედ ამიტომაცაა, რომ საპატრიარქოს სკოლები აღზრდის პროცესში ორიენტირებულია ოჯახის, ეკლესიისა და სკოლის ერთობაზე.

უკვე მესამე წელია, ჩვნს რაიონში, გაიხსნა წმ. მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა - ინტერნატი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს.მას მიმდინარე წლის 9 სექტემბრიდან ახალი ხელმძღვანელი ჰყავს -სამორჩილე, 1980 წელს ადიგენის რაიონში დაბადებული, პროფესიით ისტორიკოს-სამართალმცოდნე, თეა სხირტლაძე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ ქ-ნ თეას, გავეცანით მის ავტობიოგრაფიას და სკოლის სამომავლო გეგმებს.

მინი დოსიე: **ქ-ნმა თეამ დაამთავრა ადიგენის რაიონის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისტორია-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. მისი დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ადიგენის საშუალო სკოლაში პედაგოგად, სადაც სხვადასხვა დროს ასწავლიდა ისტორიას, სამართალს, სამოქალაქო განათლებას, მსოფლიო კულტურას, ჩართული იყო სამოქალაქო განათლების პროექტებში. 2014 წლის იანვრიდან მუშაობდა ხარაგაულის წმ.ანდრია პირველწოდებულის სახ. გიმნაზიის დირექტორად, ხოლო 2015 წლის მარტიდან დაინიშნა დედოფლისწყაროს წმ. მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა-ინტერნატში სამეუნეო დარგის ფინანსურ დირექტორად, ხოლო მ/წლის 9 სექტემბრიდან სკოლის მოსწავლეთა მცირე კონტიგენტის გამო მოხდა დირექტორთა ოპტიმიზაცია, რადგან სკოლას ჰყავს გენერალური დირექტორიც, ჰერეთისა და ხორნაბუჯის ეპისკოპოსი, მეუფე დიმიტრი(კაპანაძე), აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა თეა სხირტლაძე, როგორც სასწავლო, ასევე სამეურნეო დარგში. იგი უკვე 13 წელია, ცხოვრობს მონასტერში დედებთან ერთად, აქვს აგრეთვე 13 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება.**

როგორც ახალმა ხელმძღვანელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სკოლა, ჯერჯერობით, დაწყებითი საფეხურის სწავლებას გადის და მიმდინარე მონაცემებით 65 მოსწავლე ირიცხება, მათ შორის 27 პირველკლასელია, წელს შეიქმნა ორი პირველი კლასი. ავტორიზაციაც სკოლას ჯერ მხოლოდ 65 ბავშვზე აქვს გავლილი.

- ჩვენი სკოლა დაწყებითი საფეხურისაა და მოიცავს 5 კლასის ჩათვლით სწავლებას. ჩვენი მიზანი არის სრული საშუალო სკოლის დაარსება. გვინდა, ჩვენმა მოსწავლეებმა მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება, რომ არ დასჭირდეთ მათ დამატებითი გადამზადებები, გვაქვს მატემატიკისა და ინგლისურის გაძლიერებული სწავლება, წელს პირველად შეიქმნა ნულოვანი ჯგუფი(პრეკლასი), რომელიც ბავშვებს მისცემს მოსამზადებელ განათლებას, ამ კლასში გვყავს15 მოსწავლე, პედაგოგები არიან: ნონა პოპიაშვილი, ლალი მანგოშვილი, ნელი დანილოვა, გია ყაჭაშვილი, ხოლო ორშაბათიდან კლასს ეყოლება დამრიგებელი. სწავლება მოსამზადებელ საფეხურზე ფასიანია და თვეში 45 ლარს შეადგენს(კვების გარეშე), ჩვეულებრივ დაწყებით კლასებში თვეში 25 ლარს იხდიან მშობლები კვების გარეშე, მაგრამ ამაში შედის გახანგრძლივებული სწავლებაც და ფოლკლორის, რუსული ენისა და საღვთო სჯულის(რელიგიის) წრეებში ჩართვა, ხოლო კვებით 15 ლარი ემატება(სურვილისამებრ) და სულ 40 ლარი ღირს. გასული წლის შეღავათები ისევ გავრცელდება სოციალურად დაუცველ ბავშვებზე, მაგრამ წელს შემოსული თითოეული მოსწავლის სწავლის საფასური 25 ლარი იქნება, ორ და სამ დედმამიშვილზე გვაქვს შეღავათი, ერთზე იხდიან 25 ლარს, მეორეზე და მესამეზე 10-10 ლარს, მაგრამ ოთხ და ოთხზე მეტ და-ძმაზე სწავლება უფასოა. მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლება იმიტომ განსხვავდება დაწყებითი საფეხურის სწავლებისგან, რომ ეს ჩვენი სკოლისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად ითვლება. თუ პედაგოგის საათობრივი ანაზღაურება დაწყებით საფეხურზე შეადგენს იგივეს, როგორც ჩვეულებრივ საჯარო სკოლებშია, მოსამზადებელ განყოფილებაზე შედარებით დაბალი ანაზღაურება აქვთ მასწავლებლებს. რის საშუალებასაც გვაძლევს ჩვენი ვაუჩერული, საპატრიარქოს თუ კერძო შემოსავლები, ვმოქმედებთ შესაბამისად. სულ ახლახანს მოვახდინეთ მეორე შენობის გადახურვა, რომელშიც სამომავლოდ, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, საბაზისო სკოლის გახსნას ვგეგმავთ, ჩვენი მიზანია, თითოეულ კლასში 15 მოსწავლეზე მეტი არ გვყავდეს, ვასწავლით ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საგანს, გარდა ამისა, საღვთო სჯულს და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვაქვს დამატებითი წრეები მსურველი მოსწავლეებისათვის. წელს მივიღეთ სპორტის პედაგოგი, რომელსაც აქვს არამხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტი დამთავრებული, არამედ ნამუშევარია სპეც. სკოლაში სქოლიოზით დაავადებულ ბავშვებთან. ვფიქრობ, დაწყებით კლასებში, როდესაც მოსწავლეებმა მერხთან ჯდომის წესებიც კი არ იციან, სწორედ მაშინ იღებს სათავეს ხერხემლის დაავადებები, მნიშვნელოვანია ასეთი მაღალი გამოცდილების მქონე პედაგოგის შემოყვანა სკოლაში. რაც შეეხება სასულიერო განათლებას, ჩვენი ბავშვები მას იღებენ რელიგიის სწავლების სახით, გარდა ამისა, ყოველ პარასკევს ჩვენთან ტარდება პარაკლისი და მოსწავლეებს ინტენსიური შეხვედრები აქვთ სასულიერო პირებთან, მათ შორის ეპისკოპოსთან, რომელიც ყოველდღიურად ხვდება და ესაუბრება ბავშვებს, მათ მშობლებს. მეუფე დიმიტრი აქტიურადაა სკოლის ცხოვრებაში ჩართული, მას აქვს 19 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება რელიგიის ისტორიის, გეოგრაფიის, მსოფლიო კულტურის, კატეხიზმოს, ზნეობრივი ღვთისმეტყველების საგნებში. ვისარგებლებ შემთხვევით და ვინც ჯერ არ იცის, ვამცნობ რომ, მეუფე დიმიტრი მაისის თვიდან ყოველ ოთხშაბათს 5 საათზე ხვდება ჩვენი რაიონის მოსახლეობას ხელოვნების სკოლაში, შეხვედრები მიმდინარეობს ძირითადად სასულიერო თემებზე კითხვა-პასუხის რეჟიმში. - ასე დაასრულა ჩვენთან საინტერესო საუბარი ჯერ ისევ ახალი სკოლის ახალმა ხელმძღვანელმა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ წმ.მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლის თითოეულ მოსწავლეს თუ პედაგოგს, მის ბინადართ.

ელზა ხარაშვილი

„ვიშოვე რკინის ქალამნები და მივდივარ სიმართლის საძიებლად!..“

საპატრიარქოს მიერ დედოფლისწყაროში დაფუძნებული სკოლის აღმასრულებელი დირექტორი მაია ლაპიაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ინფორმაციას ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლაშიც ადასტურებენ, თუმცა საპატრიარქოს სკოლაში განმარტავენ, რომ ლაპიაშვილის შტატი გაუქმდა. მათი თქმით, ყოფილ დირექტორს საათები შეუნარჩუნდა, თუმცა, ხელშეკრულების გასაგრძელებლად მაია ლაპიაშვილი სკოლაში აღარ მისულა.

ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლის დირექტორი ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი კაპანაძეა. აღმასრულებელ დირექტორად კი თეა სხირტლაძე დაინიშნა. „შირაქის“ ინფორმაციით, სხირტლაძე მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

„მანამდე მე სკოლის აღმასრულებელი დირექტორი ვიყავი ფინანსურ დარგში, ვინაიდან სკოლა მცირეკონტინგენტიანია, ორი დირექტორის არსებობა წარმოუდგენელია, ამის საჭიროება არ არსებობს. ამდენად, 9 სექტემბრიდან ზოგადად აღმასრულებელ დირექტორად დავინიშნე. ლაპიაშვილის შტატი კი გაუქმდა, ორი აღმასრულებელი დირექტორის შტატი გაუქმდა,“ - აღნიშნავს თეა სხირტლაძე.

მეუფე დიმიტრი: „დამფუძნებელთან შეთანხმებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ორი აღმასრულებელი დირექტორის აუცილებლობა არ დგას. ამ საკადრო ცვლილებას მაშინვე ვგეგმავდით, როცა სკოლა ჩავიბარეთ, თუმცა შუა სასწავლო პროცესში ამ ნაბიჯისგან თავი შევიკავეთ, რომ გართულებები არ გამოეწვია. ქალბატონი მაია დისტანცირებული არ არის, ის კვლავ წრის ხელმძღვანელია, აქვს საათები და თუ ისურვებს, შეუძლია პედაგოგად გააგრძელოს მუშაობა. თუმცა, თავად ჯერ არ მოსულა ხელშეკრულების გასაგრძელებლად, თუ თავად გამოთქვამს სურვილს, სკოლა მზადაა მასთან თანამშრომლობისთვის“.

საპატრიარქოს სკოლა დედოფლისწყაროში 2014 წლის ოქტომბერში გაიხსნა. გასულ წელს სკოლამ ავტორიზაციის მოპოვება უმოკლეს ვადაში სწორედ ლაპიაშვილის დამსახურებით შეძლო. საპატრიარქოს ბიუჯეტიდან მისი წლიური დაფინანსება 140 000 ლარია.

თანამდებობიდან გათავისუფლებული აღმასრულებელი დირექტორი მაია ლაპიაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ სკოლაში სულ სამ საათს სთავაზობდნენ, რის გამოც იქ დარჩენის აზრს ვეღარ ხედავს. მაია ლაპიაშვილი სასამართლოში ჩივილს გეგმავს, მანამდე კი სკოლისგან ოფიციალურ პასუხს ელოდება, თუ რის საფუძველზე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

მაია ლაპიაშვილმა მომხდარის მიზეზებზე წერილობითი განცხადება გაავრცელა.

„მეუფე მელქისედეკი გადაიყვანეს ჩვენი ეპარქიიდან უბისისა და მარგვეთის ეპარქიაში, ხოლო იქაური მეუფე მოავლინეს ჩვენთან. რამოდენიმე ხანში პატრიარქის ბრძანებით მეუფე დიმიტრი (რამაზ კაპანაძე) დაინიშნა სკოლის დირექტორად. მე ავუხსენი, რომ მეუფის გადაწყვეტილებით ვიყავი პასუხისმგებელი სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესზე - ვიკითხე, ხომ არ შეიცვლებოდა რამე. მეუფემ განმიცხადა, რომ ყველა საქმიანობას ჯერ-ჯერობით ისევ გავაგრძელებდი, გარდა საკადრო საკითხებისა. მეუფე , როგორც სკოლის ხელმძღვანელი, კომუნიკაციაზე თავიდანვე არ გამოდიოდა, იყო ძალიან ოფიციალური, ტენდენციურად განწყობილი, იგნორირებას ახდენდა სკოლის ნებისმიერ წარმატებაზე. მასწავლებლების გაცნობის სურვილიც არ გასჩენია.დანიშვნიდან

(გაგრძელება გვ.5)

ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების ნაწილი ახალ ცხოვრებას იწყებს, რომელიც ახალი ურთიერთობების, შეგრძნებების დასაწყისად იქცევა. უგედნიერესი ხანა, რომელსაც სტუდენტობა ჰქვია. გაგაცნობთ იმ ახალგაზრდების ერთ ნაწილს, ვინც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და შესაბამისი დაფინანსებაც მოიპოვა. წარმატებებს ვუსურვებთ მათ ცხოვრების საკმაოდ რთულ გზაზე!

ეკა გოგიშვილი, ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, 50%-იანი დაფინანსებით.

პაპუნა პაპუაშვილი - ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 50%-იანი დაფინანსებით.

თაკო ხუციშვილი, ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, 50%-იანი დაფინანსებით.

მარიამ მკერვალიძე, ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, 50%-იანი გრანტის მფლობელი.

P.S. გაზეთი "შირაქი" აგრძელებს რუბრიკას -"ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!" დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების პედაგოგებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მონაცემები წარმატებული აბიტურიენტების შესახებ.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

ახალი სასწავლო წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში განახლდა. მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარესთან ზვიად ჯავახიშვილთან, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსთან მეუფე დიმიტრისთან(კაპანაძე), ქ. დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატ მიხეილ ბახუტაშვილთან და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად ქალაქის, სოფელ ხორნაბუჯისა და სამრეკლოს სკოლებში სწავლის დაწყების პროცესს დაესწრო. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა პირადად მიულოცა პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის განახლება.

"ეს დღე, მართალც, დღესასწაულია, როდესაც ჩვენი შვილები ცოდნის ტაძარში შემოდიან. ჩვენი მომავალი მხოლოდ განათლებაა, ჩვენი გადარჩენა არის ნიჭიერი თაობა. განათლებული ადამიანი არსად არ დაიკარგება, განათლებულ ადამიანს არასოდეს არ გაუჭირდება და განათლებული ადამიანი ყოველთვის მყარად იდგება ფეხზე. ამიტომ მშობლებო, პედაგოგებსა და თქვენს შვილებს დაუდექით გვერდით, ასწავლეთ, რათა გახდნენ წარმატებულები. ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ მომავალმა თაობამ საუკეთესო განათლება მიიღოს. სწორედ თქვენი ცოდნა და განათლება გამოადგება ჩვენს მშობლიურ მუნიციპალიტეტს. გილოცავთ დღევანდელ დღეს, გისურვებთ წარმატებას" - აღნიშნა თავის მიმართვაში მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 174 პირველკლასელმა შეაღო სკოლის კარი. ბავშვებმა უფასოდ მიიღეს სახელმძღვანელოები და კომპიუტერები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თანამემამულეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მშობლიური სკოლიდან მიულოცა. ზვიად ჯავახიშვილი სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლას ეწვია და ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან სოფელ გამარჯვებაში, გივი გიგაურთან და გამგებლის წარმომადგენელთან, გია ჭინჭარაულთან ერთად დაესწრო. მან სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და სოფლისა და ქვეყნის სასახელოდ წარმატებები უსურვა.

ზვიად ჯავახიშვილი კოლეგებთან ერთად გამარჯვების ბაგა-ბაღსაც სტუმრობდა და პედაგოგებსა და აღსაზრდელებს პირადად გაესაუბრა.

იმ დღესვე, საკრებულოს თავმჯდომარე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსთან, მეუფე დიმიტრისა და მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად, წმ. მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა-ინტერნატში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზეც იმყოფებოდა და შეკრებილ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი პირველკლასელებს, 2015-2016 სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. ახალი სასწავლო წლის შეფასება ვთხოვეთ საჯარო სკოლების დირექტორებს.

ეთერ ოთარაშვილი (№1 საჯარო სკოლის დირექტორი) „ახალ სასწავლო წელს 574 მოსწავლით ვხვდებით. 37 პირველკლასელი გვყავს, ამდენად

(გაგრძელება გვ.6)

„ვიშოვე რკინის ქალამნები და მივდივარ სიმართლის საძიებლად!..“

(მეოთხე გვერდიდან)

თვენახევრის შემდეგ, მარტის დასაწყისში, ვთხოვე, გასცნობოდა პედაგოგებს. პირველივე შეხვედრაზე ყველა ძალიან დაითრგუნა, რადგანაც დაუმსახურებელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა პედაგოგების მუშაობა, დაასახელა კონკრეტული პირონვნებები, რომელთა მიმართაც გამოთქვამდა პრეტენზიებს. მომიწია პედაგოგების დაცვა და სერიოზული დასაბუთება, რომ მისი წარმოდგენები იყო მცდარი.

სკოლის შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრდა საუკეთესო აზრი. მოვიზიდეთ მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა. მარტის ბოლოს მეუფემ სკოლაში მოიყვანა თავისი მეგობარი - თეა სხირტლაძე და განგვიცხადა, რომ იყო მისი ნდობით აღჭურვილი პირი და ყველა საკითხი თეასთვის შეგვეთანხმებინა. ამ დღიდან დაიწყო ჩემი შევიწროება. მეუფემ ჯერ ამიკრძალა მედიასთან განცხადებების გაკეთება, შემდეგ ჩამომართვა ბეჭედი, შემიმცირა ხელფასი, ამიკრძალა ბრძანებების გამოცემა. ვხვდებოდი, რომ ეს იყო ნდობით აღჭურვილი პირის კაპრიზები, რადგანაც თუ რამეზე განაწყენდებოდა, პატარა ბავშვივით მეორევე დღეს მოჰყავდა მეუფე და მისი პირით ვღებულობდით საყვედურებს. ზაფხულში გააააქტიურეს და გააფართოვეს ინტრიგების ქსელი და განახორციელეს კარგად დაგეგმილი მიზანმიმართული სქემა - ეწეოდნენ ჩემს დისკრედიტაციას. შედეგმაც არ დააყოვნა.

პირველ სექტემბერს მეუფემ დამიბარა და მითხრა, რომ აღარ ვჭირდებოდი, რადგანაც ჩემს ადგილზე თეა მოიაზრებოდა და სკოლას ორი დირექტორი ვერ ეყოლებოდა. მიმითითა, რომ დამეწერა განცხადება. კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ჩემს მუშაობასთან რაიმე პრეტენზია, მიპასუხა, რომ მადლიერია ჩემი, აღიარებს ჩემს კომპეტენტურობას, თუმცა, აღარ ვჭირდები, რადგანაც თეას უნდა დირექტორობა და მას ენდობა.... ჩემს მიმართ კი ერთადერთი პრეტენზია გამოხატა - რატომ ვიყავი „სკოლაში სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე ტოლერანტობის სწავლების“ ტრენინგზე რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად?! მან აღშფოთება გამოთქვა, რომ ტრენინგზე დასწრებით შეურაცხყოფა მივაყენე საპატრიარქოს ინტერესებს და განრისხდა, იქიდან დაბრუნებულმა მიტევება რატომ არ ვთხოვე. **ცნობისთვის**: ამ ტრენინგის შემდეგ სამი თვე იყო გასული. მიწოდა ჩხრიალა გველი, მირჩია, რკინის ქალამნების ამოცმა და ოთარაანთ ქვრივივით სიმართლის საძიებლად წასვლა. მითხრა, რომ ჩემი ცხოვრება კარგად ჰქონია შესწავლილი. თუ არ დავწერდი განცხადებას, შტატს გამიუქმებდა და გამიშვებდა. დავუსვი კითხვა - დავალება გაქვთ და გარკვეული წრისთვის ვარ მიუღებელი? პასუხად მივიღე: „ცოტ-ცოტა ყველაფერი“... ათ დღეში მივიღე საფოსტო გზავნილით თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება.... ვიშოვე რკინის ქალამნები და მივდივარ სიმართლის საძიებლად!.. მაგრამ ამ სიბნელეში?!," - წერს მაია ლაპიაშვილი.

„შირაქმა“ მაია ლაპიაშვილს დაზუსტება სთხოვა. მისი თქმით, სასამართლოსთვის ჯერ არ მიუმართავს. ამ ეტაპზე სკოლიდან წერილობით პასუხს ელის, სადაც გათავისუფლების მიზეზები დეტალურად იქნება განმარტებული. პასუხის მიღების შემდეგ კი სამართლებრივ ბრძოლას გეგმავს.

ილია მარტყოფლიშვილი

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

(მეხუთე გვერდიდან)

ორი პარალელური კლასი გაიხსნა. უსაფრთხო გარემოა, წელს იგეგმება ინფრასტრუქტურული ცვლილებები, მთლიანად უნდა შეიცვალოს გათბობა და ამისი პროექტი უკვე არსებობს, ნაწილობრივ შეკეთდება ჭერი, სველი წერტილები.

ლალი იაკობიშვილი **(№2 საჯარო სკოლის დირექტორი):** „ნაყოფიერად ვიწყებთ წლევანდელ სასწავლო წელს, პირველ კლასში 17 მოსწავლე გვყავს. ასეთი ციფრი ბოლო წლებში არ გვქონია. ძალიან ბევრი მობილობით გადმოსული მოსწავლეა. ზოგადად, ჩვენს სკოლას აქვს თავისი ხიბლი ურთიერთობებში, რითაც მოსწავლეებს ვიზიდავთ. ყველანაირად მომზადებული შევხვდით ახალ სასწავლო წელს, გვაქვს მოტივაცია და მზად ვართ დაუზოგავი შრომისთვის. ჩვენი სკოლიდან წასული აბიტურიენტების შედეგებითაც ძალიან კმაყოფილი ვართ. 13 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, საიდანაც 12 სტუდენტი გახდა, აქედან ორი ასპროცენტიანი დაფინანსებით, სამმა მათგანმა 50%-იანი გრანტი მოიპოვა, ერთმა 70%-იანი დაფინანსება მიიღო. ასეთი დიდი წარმატება პატარა სკოლისთვის, ნამდვილად საამაყოა.

ნელი საბიაშვილი **(ხორნაბუჯის სკოლის დირექტორი):** „წელს ჩვენთან 22 პირველკლასელია, რუსულ სექტორზე 6 მოსწავლეა, თუმცა, ჯერჯერობით, რუსული სექტორი ვერ გავხსენით, იმედი მაქვს, კიდევ გამოჩნდებიან მსურველები და არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის ცალკე კლასს გავხსნით“.

ნანა ჭილიტაშვილი **(სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორი):** „200 მოსწავლით ვიწყებთ ამ სასწავლო წელს, 12 პირველკლასელი მივიღეთ. სკოლა მზადაა სასწავლო პროცესისთვის. უკვე შეძენილია ზამთრის სეზონის პირველი სემესტრისთვის საჭირო შეშა. დარიგდა წიგნები და ბუკეტიც.“

თეა სხირტლაძე **(საპატრიარქოს სკოლის დირექტორი):** „ორი პირველი კლასი გაიხსნა, ამას გარდა, სიახლეა ის, რომ გაიხსნა პრესკოლა, ანუ ნულოვანი ჯგუფი. აქ ისეთი ბავშვები მივიღეთ, რომელთაც საბავშვო ბაღი დაასრულეს და სკოლაში მიღებაზე უარი ეთქვათ. მათ მოვამზადებთ პირველი კლასისთვის. ზოგადად, კონტინგენტი გაზრდილია, 27 პირველკლასელი გვყავს, 13 ნულოვან ჯგუფში. გარდა ამისა, სხვადასხვა კლასებში შემოგვემატნენ. მინდა, რომ ყველასთვის ნაყოფიერი იყოს ეს სასწავლო წელი“.

მეუფე დიმიტრი: „ის, რომ იზრდება ამ სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი, იმაზე მიუთითებს, რომ პოპულარულია და სკოლის დადებით მხარეებს წარმოაჩენს. ჩვეულებრივი საჯარო სკოლებისგან განსხვავებით აქ გაძლიერებულად ხდება უცხო ენების, მათემატიკის შესწავლა, მოქმედებს არაერთი შემოქმედებითი წრე. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვების სულიერ აღზრდასაც, რაც ვფიქრობთ, რომ თავის შედეგს გამოიღებს.“

ეთერ ზურიკაშვილი **(საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი):** „წინა წელთან შედარებით პირველკლასელთა რიცხვი შემცირებულია, იცით, რომ სოფლებში მიგრაციის სერიოზული პრობლემაა. ზოგიერთ სკოლაში, მაგალითად ოზაანში ორი პირველკლაელი დარეგისტრირდა, ქვემო ქედში – 6, არის სოფლები, სადაც 5-7 მოსწავლე მივიდა. ყველა სკოლაში შევიდა ყველა კლასის წიგნები, რომლებიც უკვე გადაეცა მოსწავლეებს. კომპიუტერებიც გაიცა. ინფრასტრუქტურაც გამართულია, მაგრამ უფრო მეტს ველოდებით. ყველა სკოლაში ინკლუზიური განათლების ოთახი გაკეთდა, ზემო მაჩხაანის, სამრეკლოს, დედოფლისწყაროს №1 სკოლებში მოეწყო ექიმის კაბინეტები, რომლებიც ნელნელა ყველა სკოლაში ამოქმედდება. ყველა მოსწავლეს, ყველა მშობელს და პედაგოგს მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება.“

რაც შინაგანად მქონდა, იმას ვერავინ წამართმევს...

ახალ სასწავლო წელს სკოლის ზარი რაიონის ყველა სკოლაში დაირეკა, მათ შორის ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაშიც. ზემო მაჩხაანის სკოლას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, რომლის წარდგენასაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ. ამჯერად თქვენს ყურადღებას სხვა საკითხზე შევაჩერებთ. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა წელს ახალი შემართებით აგრძელებს მუშაობას, გასულ სასწავლო წელს სკოლაში ორი პროექტი განხორციელდა, რამაც მათი საბაზო ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ბევრად გააუმჯობესა. ორივე პროექტის ხელმძღვანელი და წამომწყები ამ სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, პროფესიით გეოგრაფი, ყოფილი დირექტორი და აქტიური პიროვნება ნეჟნა ჩუბინიძე გახლავთ. ყველაფერთან ერთად ქალბატონი ნეჟნა წელს იუბილარია, მას თებერვალში დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა, რომელთა დიდი ნაწილი, 36 წელი პედაგოგობაში, ხოლო 22 წელი ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორობაში გალია. ქალბატონი ნეჟნა დღესაც ახალგაზრდულად გამოიყურება, თავს ძალიან მხნედ გრძნობს და კვლავ აქტიურადაა ჩართული სკოლის სასწავლო-შემოქმედებით საქმეებში. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- ქალბატონო ნეჟნა, რა პროექტები განხორციელდა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში თქვენი ინიციატივითა და მონაწილეობით?

- პირველ პროექტს ევრაზიის ახალგაზრდობის ფონდის დედოფლისწყაროს „ახალგაზრდული იდეის” ბანკი ახორციელებდა, რომლის წევრებიც არიან ჩვენი მოსწავლეები, გამოცხადდა სკოლებს შორის პროექტი 880 ლარის ოდენობით. დავინტერესდი პროექტით, მოვიწადინე და ჩავრთე ბავშვები. აღმოჩნდა, რომ გაამართლა. პროექტი სახელწოდებით „სუფთა გარემო სკოლაში“ შეიმუშავეს ჩვენი სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებმა: თამარ ჭილიტაშვილმა (პროექტის ხელმძღვანელი), ნინო ბოლოთაშვილმა და ნიკა ჯანაშვილმა. პროექტმა გაიმარჯვა და სკოლამ მიიღო 560 ლარი, რითაც შევიძინეთ: ეზოს სამი ცალი ბორბლებიანი მწვანე ურნა, საოფისე ურნები, აქანდაზები, ჯაგრისები, ვედროები, ფეხის საფენები, ხელთათმანები დასუფთავების აქციებისთვის (დასუფთავების აქცია ჩავატარეთ ორჯერ). აღნიშნული პროგრამა სამწლიანი პროგრამაა, ის დაიწყო 2014 წელს და მომავალ წელსაც გაგრძელდება.

- რაც შეეხება მეორე პროექტს, მინდა მასზეც ისაუბროთ.

- 2014-2015 სასწავლო წელს ჩვენი სკოლა ჩართული არის სამწლიან სასწავლო პროგრამაში „მომავლის თაობა”, რომელსაც ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია „PH international“ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. სამოქალაქო განათლების განვითარების გზით, პროგრამის საქმიანობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობაში სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდას გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობისთვის.

ამ ორგანიზაციამ პროგრამაში მონაწილე სკოლებისთვის დაუშვა პროექტი 450 დოლარის ფარგლებში სკოლაში რაიმე პრობლემის გადაჭრისთვის. პროექტი ითვალისწინებდა ასევე თანამოხალისეების მოძებნას და ჩართულობას, როგორც ფულადი სახით, ისე ხვადასხვა დახმარების სახით 1000 ლარის ფარგლებში. როგორც გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, მოსწავლეები დავაინტერესე ამ პროექტით. აღნიშნულ თემაში ჩაერთნენ მოსწავლეები: თვითმმართველობის თავმჯდომარე ანა ნატროშვილი (მეთორმეტე კლასი), მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები: თამარ ჭილიტაშვილი, ნიკა ჯანაშვილი, გიორგი ცხვედიაშვილი, მარიამ მაძღარაშვილი და ნონა ჯანაშვილი. მათ მიერ დაიწერა პროექტი სკოლაში სპორტის გაკვეთილებისადმი მეტი დაინტერესების კუთხით „ჯანსაღი თაობა -XXI-ე საუკუნეს,” რომელიც ითვალისწინებდა სპორტული ინვენტარის შეძენას, გარე მოედნების მოწესრიგებას. პროექტმა მოწონება დაიმსახურა და პროგრამა „მომავლის თაობამ“ დაგვაფინანსა 450 აშშ დოლარით. ჩვენი თხოვნით პროგრამაში ფულადი ანაზღაურებით სოფლის არაერთი მკვიდრი ჩაერთო. ესენი გახლავთ ალექანდრე ბენაშვილი, ვანო ნატროშვილი, გია ბენაშვილი, დავით ოზბეთელაშვილი, ზურაბ ტოკლიკიშვილი, გიორგი იაკობიშვილი, მირზაანის რწმუნებული აკაკი თარაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი აკაკი ნატროშვილი. შრომითი ანაზღაურებით დაგვეხმარნენ ნოდარ ჯალიაშვილი, გენადი მარტყოფლიშვილი, გიორგი გრიგალაშვილი, გივი პაპაჩაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ზაქრო ცხვედიაშვილი, გია ჯანაშვილი, ირაკლი ოზბეთელაშვილი, მიხეილ ქევხიშვილი, ზურაბ და ნოდარ ნატროშვილები, სკოლის კომპიუტერული მომსახურების მენეჯერი თამარ ყოჩიაშვილი და ლელა მაზიაშვილი. ძალიან დიდი დახმარება და მორალური მხარდაჭერა გამიწია სკოლის ახალმა დირექტორმა ქალბატონმა მაია ხუნაშვილმა. აქვე მინდა პროექტში ჩართულ ყველა მონაწილეს, თითოეული თეთრის, თუ ფიზიკური შრომის შემომწირველს მადლობა გადავუხადო სოფლის სკოლის საკითხის გულთან ახლოს მიტანისთვის და გვერდში დგომისთვის.

-რა შეიძინეთ სკოლისთვის აღნიშნული პროექტის ფარგლებში?

-ამ პროექტის თანხებით, რასაც დაემატა ჩვენი სოფლის ხალხის შემოწირულობაში, თანამონაწილეობა, შევიძინეთ კალათბურთის ბურთები, ფრენბურთის ბურთები, ბადბიქტონის ჩოგნები, დასაფენი ლეიბები ეგრეთწოდებული „პარალიონი“, ჩამოსაკიდი რგოლები, ტანვარჯიშის რგოლები, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის ბადეები, ჩოგნები, ბურთები, სახტუნაოები, რეზინის ბურთები, ბოულინგის ატრიბუტები, მხიარული სტარტებისთვის შევიძინეთ გასაძრომი ტომრები. ეს ყველაფერი ორივე სკოლისთვის გავითვალისწინეთ, მოგეხსენებათ, რომ მირზაანის სკოლა ჩვენს შემადგენლობაში შედის და ბურთები და სხვა ინვენტარი მათთვისაც გავითვალისწინეთ. ასევე ჩვენს სკოლაში სპორტული დარბაზი შევღებეთ, ფიცრები გამოვცვალეთ, შევაკეთეთ ფეხბურთის კარებები, გარემოედანზე დავამონტაჟეთ რკინის სკამები, პირადად მე გახლდით ლილოში და მთლიანი თანხით სხვა ყველაფერთან ერთად შევიძინე ბალახის საკრეჭი მანქანა. შემოწირულობებით ვიყიდეთ საღებავები, ჯაგრისები და უამრავი წვრილმანი. მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთის ფურცლებით და მადლობა გადავუხადო თელავის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის პროექტის კოორდინატორს მერიკო პაპუნაშვილს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი პროექტი და მიზანმიმართულ რჩევებს გვაძლევდა. მადლობას ვუხდი ყველა იმ პირს სოფელში და სოფლის გარეთ, ვინც დაგვიდგა გვერდში ამ პროექტების განხორციელებაში, ჩვენი სკოლის ყოფილ დირექტორს ალექსანდრე ნატროშვილს, ახლანდელ დირექტორს მაია ხუნაშვილს იმისთვის, რომ ხელი შეგვიწყეს სკოლაში მიმდინარე პროექტების განხორციელებაში, როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად.

- ქალბატონო ნეჟნა, რამდენადაც ვიცი, თქვენს სკოლაში 2012 წელს ხანძარი მოხდა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ თქვენ დაგატოვებინეს დირექტორის თანამდებობა, თუ გაირკვა დამნაშავის ვინაობა და საერთოდ, რა ხდება ამ კუთხით?

- ეს საკითხი ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა, ფაქტიურად, მე, ნეჟნა ჩუბინიძეს, მორალურად ამით გამისწორდნენ და ეს აღმოჩნდა ჩემთვის ყველაზე მოუნელებელი ტკივილი. მე ვთვლი, რომ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ხელმძღვანელი ვარ, რადგან, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის ხანძარი ხელოვნურად იყო მოწყობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალი არავის მიმართ არაა დამტკიცებული, გამოძიება დასრულებული არც მაშინ იყო, როცა მე გამათავისუფლეს და მით უმეტეს, გამოძიება დღემდე არაა დასრულებული, დამნაშავე არაა ნაპოვნი. მე კი, დღესაც ვილტვი, რომ გაირკვეს სიმართლე, სიმართლე, რომელიც მე დამიბრუნებს ძველ სიამაყეს. ყველამ ყველაფერი იცის, ყველა ყველაფერს ხვდება, ისიც იციან, რომ მე ამ ხანძრის გაჩენასთან არაფერი მაკავშირებს, მაგრამ არავის არ მოეთხოვა პასუხი. მე კი, ტყუილ-უბრალოდ მამსხვერპლეს ამ ამბავს. დირექტორობას არ ვჩივი, არც მივტირი, უბრალოდ ჩემთვის მთავარია საქმე ვაკეთო, უმოქმედოდ არ ვიყო, მთავარია დავიხარჯო და ამას ჩემი პედაგოგიური გამოცდილებით მაინც ვახერხებ. მე იმ მორალურ ტკივილს ვჩივი, რომელიც მე ჩემი ხალხის, ჩემი მოსწავლეების, ჩემი სოფლის თვალში მომაყენეს. დღეს, ასე თუ ისე, სოფელმაც გაიგო, რომ ამაში ნეჟნა ჩუბინიძეს არანაირი დანაშაული არ მიუძღვის, თითქმის ყველა მიხვდა, რაც მოხდა, როგორ მოხდა და რისთვის მოხდა, მაგრამ ჩემს მორალურ ტკივილს ველარაფერი აანაზღაურებს.... ერთი ეს ვიცი, 60 წლის ქალი ვარ და ჩემი ცხოვრების საათების უმეტესობა ჩემს სკოლაში მაქვს გატარებული. დღესაც ვერ ვისვენებ, დღესაც აქტიური ვარ, მთელი ზაფხული სკოლაში გავატარე, არ დამისვენია, სახლში არ წავსულვარ, სულ ამ პროექტების განხორციელებაში, შრომასა და ფუსფუსში ვიყავი. რაც შინაგანად მქონდა, იმას ვერავინ წამართმევს, მე ენერგია მაქვს დაუშრეტელი და ჩემი ენერგიულობით თავს არასოდეს ვზოგავ, არ შემიძლია უმოქმედოდ ყოფნა, კვლავ მინდა დავიხარჯო, კვლავ მინდა ვაკეთო და ჩემი ენთუზიაზმი ჩემს სკოლას, ჩემს მოსწავლეებს შევალიო.

P.S. ქალბატონო ნეჟნა, თქვენს ხელში არაერთი თაობა გაიზარდა და დაფრთიანდა, თქვენს ენთუზიაზმს და შრომისმოყვარეობასაც უამრავი ადამიანი აფასებდა და აფასებს, გაზეთ „შირაქის“ რედაქცია უერთდება თქვენი 60 წლის საიუბილეო თარიღის მილოცვას და გისურვებთ, კიდევ მრავალი კურსდამთავრებული გაგეცილებინოთ ზემო მაჩხაანის სკოლიდან.

ლალი მეხრიშვილი

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა

შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარულის აუწყა ყოველსა სოფელსა

ყოვლადწმიდა დედა ღვთისა იშვა უნაყოფო და მოხუცებული მშობლებისაგან - ქალაქ ნაზარეთში, რომელიც მთის ფერდობზე იყო შეფენილი და იერუსალიმს სამი დღის სავალი აშორებდა. „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაისამე ყოფად?“ - ამბობდნენ ებრაელები, როდესაც შეიტყვეს, რომ დიდი წინასწარმეტყველი იესო აქედან გამოვიდა.

წინასწარმეტყველთა უწყების მიხედვით, ქვეყნიერების აღთქმული მხსნელი დავითის სამეფო ტომიდან უნდა წარმომდგარიყო, მაგრამ ბაბილონის ტყვეობის შემდგომ დავით მეფის შთამომავლები ნელ-ნელა უფლებებს კარგავდნენ და როდესაც მაკაბელთა გვარი გაძლიერდა, სამეფო შტოს ყოველგვარი გამორჩეულობა გაქრა და ის სხვა ხალხს გაუთანაბრა.

როდესაც წინასწარმეტყველთა მიერ მოსწავებული დრო დადგა და სკიპტრა უცხოტომელ ჰეროდეს გადაეცა, როცა რომაელთა ყოვლისდამარღვეველი ხელმწიფება დაიწყო, როცა ზნეობრიობა და რელიგია სრულიად დათრგუნული აღმოჩნდა - მაშინ იუდეველებმა გააცნობიერეს, რომ დანიელის მიერ დათქმული ჟამი იწურებოდა და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი მესიას, რომელიც მათ უცხოტომელთა უღლისაგან იხსნიდა და სხვა ხალხებზე ბატონობას მიანიჭებდა.

ნაზარეთში ღვთისმოსავი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა - იოაკიმე და ანნა. იოაკიმე იუდას სამეფო ტომის შთამომავალი იყო, ხოლო ანნა აარონის ტომის ღვთისმსახურის მატთანის უმცროსი ასული. მატთანს სამი ქალიშვილი ჰყავდა: მარიამი, სოფიო და ანნა; სოფიოს ასული ელისაბედი არის დედა იოანე წინასწარმეტყველისა. იოაკიმე და ანნა ღვთის წინაშე მართლები იყვნენ და მის მცნებებსაც სუფთა გულით იცავდნენ. ისინი იმდენად ჩემომავლობით კი არა, მორჩილებითა და გულმოწყალებით იყვნენ ცნობილნი.

ამგვარად მიაღწიეს ღრმა სიბერემდე. მთელი მათი ცხოვრება ღვთის სიყვარულით და მოყვასისადმი თანაგრძნობით იყო განსჭვალული. საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლის ორ მესამედს ყოველდღიურად გასცემდნენ, ერთ მესამედს ღვთის ტაძარს სწირავდნენ, მეორეს ღატაკებსა და მოხუცებს უყოფდნენ; დანარჩენს პირადი საჭიროებისთვის იყენებდნენ. ბედნიერები იყვნენ, მაგრამ უნაყოფობა მათ გულს მწუხარებით ავსებდა: იმდროინდელი წარმოდგენით უშვილობა შეურაცხმყოფელად და უდიდეს სასჯელად ითვლებოდა, მით უფრო სამწუხარო იყო, რომ დავითის შთამომავლებს ჰქონდათ იმედი, რომ მათგან აღთქმული მესიის შობით - კაცობრიობის ხსნის იარაღად უნდა ქცეულიყვნენ.

მათი ცოლ-ქმრული ცხოვრებიდან 50 წელი გავიდა და ისინი უშვილობის გამო იყვედრებოდნენ. კანონის მიხედვით, რომელსაც ფარისევლები უჭერდნენ მხარს, იოაკიმეს შეეძლო, უნაყოფო ცოლთან გაყრა მოეთხოვა, მაგრამ მართალ ადამიანს უყვარდა ანნა და პატივს სცემდა მას არაჩვეულებრივი მოკრძალებულობისა და ღვთისმოსაობის გამო, ამიტომ მასთან განშორება არ სურდა. გულში ჩაკლული მწუხარებით, მაგრამ უდრტვინველად ისინი ერთად ტვირთულობდნენ განსაცდელის სიმძიმეს და მარხვით, ლოცვითა და ქველისმოქმედებით აგრძელებდნენ ცხოვრებას, ერთმანეთს სიყვარულით განამტკიცებდნენ და არ კარგავდნენ იმედს, რომ უფალს ყოველთვის შეუძლია მონის შეწყალება.

დიდ დღესასწაულებზე მათ ჩვეულებად ჰქონდათ, რომ იერუსალიმში ასულიყვნენ. იოაკიმეც მივიდა ტაძრის განახლების დღესასწაულზე, რათა თანამემამულეებთან ერთად მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ მღვდელმთავარმა ისსახარმა იოაკიმეს ძღვენი არ მიიღო, მას უშვილობა აყვედრა და უთხრა: „უფალმა რაღაც საიდუმლო ცოდვის გამო მოგაკლო კურთხევა“. სხვა თანატოლებმაც, რომლებიც იქ ესწრებოდნენ, დაუმატეს: „შენ არ გაქვს ნება, მსხვერპლი ჩვენთან ერთად შესწირო, იმიტომ რომ არ შეგიქმნია ისრაელის თესლი“. იოაკიმესთვის მეტად მძიმე იყო ამგვარი ყვედრების ასე სახალხოდ მოთმენა და სახლში აღარ დაბრუნებულა, უდაბნოში წავიდა. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მართალი მოხუცი ტიროდა, მარხულობდა და ლოცულობდა. მწუხარებას ცრემლით იქარვებდა, შესთხოვდა ღმერთს, რომ სირცხვილი და ყვედრება აეცილებინა და სიბერეში მისთვის შვილი ებოძებინა.

ამავე დროს, როდესაც ქმრის შეურაცხყოფის ამბავი გაიგო, ანნა უნუგეშოდ ატირდა და შინაურთაგან თავისი მწუხარება რომ დაეფარა, ბაღში გავიდა. დაფნის ხის ძირას მჯდარი ის არ წყვეტდა ტირილს და ლოცულობდა შეურყვნელი რწმენით, რომ ღმერთი ძლიერია და კაცთაგან შეუძლებელს - შესაძლებელად აქცევს! ამ დროს ცისკენ აღაპყრო თვალები და დაფნის ტოტებში დაინახა ბუდე, რომელშიც უსუსური ბარტყები ისხდნენ - ამის გამო კიდევ უფრო მეტად აევსო თვალები ცრემლით, კიდევ უფრო მეტი ვედრებით გადმოიღვარა ლოცვა მისი გულიდან: „უბედური მხოლოდ მე ვარ - მოთქვამდა იგი - ამ ქვეყნად ყველა შვილებით ნუგეშობს. ცაში ჩიტებსა და მიწაზე მხეცებს ნაყოფიერება მიეც, უფალო, მიწაც დროულად აღმოაცენებს თესლსა და ყველაფერი ეს შენი კურთხევით ხდება! მხოლოდ მე ვარ ველი უნაყოფო, უსიცოცხლო და აღმოუცენებელი, მომხედე, უფალო და ისმინე ჩემი ლოცვა!“

უცებ მის წინაშე ღვთის ანგელოსი წარსდგა და უთხრა: „ანნა, უფალმა ისმინა შენი ლოცვები, შენ გეყოლება შვილი და შენი თესლისაგან იკურთხება ყოველი ტომი დედამიწაზე, შენი ასულის სახელი იქნება მარიამი და კაცობრიობა ხსნას მის მიერ მიიღებს“.

ანგელოსმა დაავალა ანნას, რომ წასულიყო იერუსალიმში და უწინასწარმეტყველა, რომ ქმარს იქროს ჭიშკართან შეხვდებოდა. ღვთივსულიერი სიხარულით აღვსილმა ანნამ წამოიძახა: „ცხოველ არს ღმერთი ჩემი, თუ შემეძინება ასული, მას ღმერთს შევწირავ, დაე, დღე-დაღამ მას ემსახუროს და მისი წმინდა სახელი განადიდოს“. ამ აღთქმის შემდეგ მან იერუსალიმისაკენ ისწრაფა, რათა უფლისათვის დიდება და მადლობა შეეწირა.

ანგელოსი მართალ იოაკიმესაც გამოეცხადა, რომელიც სალოცავად იდგა უდაბნოში და უთხრა: „უფალმა შეიწყნარა შენი ლოცვა, შენი ცოლი შობს ასულს, რომელიც ყველას სიხარულს მოუტანს, წადი იერუსალიმში და იქ ოქროს ჭიშკართან იპოვი ცოლს შენსას, რომელსაც მე ეს უკვე ვაცნობე“.

ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ღვთის ტაძარს ერთად შესწირეს სამადლობელი მსხვერპლი და სახლშიც ერთად დაბრუნდნენ იმის ღრმა რწმენით, რომ მიიღებდნენ ღვთისაგან აღთქმულს. მართლმადიდებელი ეკლესია უხსოვარი დროიდან დეკემბრის მეცხრე დღეს დღესასწაულობს მოხუცებული, შვილიერებას მოკლებული მშობლებისაგან ღვთისმშობლის მუცლადღებას; რადგანაც ბავშვის დაბადება ღვთის განსაკუთრებულ წყალობად ითვლებოდა, რადგანაც საჭირო იყო, რომ სხვადასხვა სასწაულებს მოემზადებინა ყველაზე მთავარი სასწაული, უწყება იმის შესახებ, რომ ქალწული შობდა ქვეყნიერების მხსნელს, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, უფლის აღთქმის მიხედვით - ჩაისახა და დაიბადა ცოლ-ქმრისაგან, მხოლოდ უფალი იესო ქრისტე იშვა უბიწო მარიამისაგან უქორწინებელად - სულიწმიდის მიდგომით.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი ნაკლებად ცნობილ ადგილას, ნაზარეთში დაიბადა, ის გამოვიდა ოდესღაც სახელგანთქმული დავითის ტომიდან, რომელიც იმჟამად უკვე დამცირებული და ყოველგვარ ბრწყინვალებას მოკლებული იყო, ამქვეყნიური დიდება და პატივი არ შემორტყმია მის აკვანს. ყოველგვარი მიწიერი უპირატესობა გაფერმკრთალდა უხილავი დიდების შუქზე, რომელიც მრავალი საუკუნით ადრე ამზადებდა უფლის დიდებით შობას. სახარების მიხედვით მას კურთხეული და მიმადლებული ეწოდა იმ დღიდანვე, როდესაც მასში ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა. ღვთიურმა სიბრძნემ დაფარა ეს საიდუმლო და ადამიანური გონებისათვის მისი რწმენითა და მადლით მიღება განსაზღვრა.

იუდეველთა ჩვეულების მიხედვით, ახალშობილისათვის მეთხუთმეტე დღეს სახელი უნდა დაერქმიათ, ანგელოსის მითითებით, ყრმას მარიამი უწოდეს, რაც ებრაულად ქალბატონს ან იმედს ნიშნავს. მარიამი გახდა დედა ღვთისა და ამით ყოველივე შექმნილის ქალბატონად და იმედად იქცა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ხსენება უძველესი დროიდან, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაული, ჯერ კიდევ IV საუკუნეში დადგინდა. მოციქულთასწორმა ელენემ ღვთისმშობლის შობის სახელზე აღმართა ტაძარი; ეს დიდი, საყოველთაო, ათორმეტთაგანი დღესასწაული 8 სექტემბერს აღესრულება. ეს არის განუყოფელი სიხარულის დღესასწაული, რადგან ღვთისმშობლისაგან ადამიანთა მთელი მოდგმა განახლდა და პირველი დედის ევას მწუხარება სიხარულად გარდაიქცა.

შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო.

გახსენება

ზაზა ტუხაშვილი

ერთი წლის წინ, 22 სექტემბერს შესძელი და ერთმა მორიდებულმა, სიკეთით სავსე და ალალმართალმა ბიჭმა მთელი რაიონი აატირე და აა-ცრემლე, „ტრაგედია, რომელმაც მთელი რაიონი შესძრა,“ ასეთი სათაურით დაიბეჭდა მაშინ სტატია. ზღვა ცრემლი და თანადგომა, უწყვეტი ხალხის ნაკადი, შეშფოთებული სახეები და ტკივილი ყველას თვალებში, უამრავი საქებარი სიტყვა შენი მისამართით, რომელიც ყველასგან გვესმოდა.

ეს ტკივილიანი სიამაყეა, მაგრამ მიხარია,რომ ასეთი კარგი შვილი გამიზრდიხარ. მზე შენსავით თბილია დან შენს თვალებს და ხელებს მაგონებს. მასავით თბილად რომ მეფერებოდი. გაუსაძლისია სიცოცხლე, რომელიც ბედმა მე და მამაშენს გვარგუნა. დღემდე ჩაგვესმის შენი ძახილი, შენი ფეხის ხმა გვესმის კიბეებზე და მოლოდინი, კარი გაიღება და შემოხვალ, მაგრამ ეს არ ხდება.

დილა ტანჯვით თენდება, კიდევ ერთი ტკივილიანი დღის დასაწყისია, ღამე იმედით ღამდება, იქნება აღარ გათენდესო, ნეტავ როდემდის?

ის კარიერი, შენი სიცოცხლე რომ დასჭირდა, ჩვენი სახლიდან ხელისგულივით მოჩანს. სიამაყით მაჩვენებდი ხოლმე აი, იქვმუშაობო. ახლაც ვიყურები და ვფიქრობ, რატომ შეიწირა იმ ასწლიანმა ქვის გორებმა შენი სიცოცხლე, რომელსაც 29 წელი გარს ვევლებოდით და ნიავს არ ვაკარებდით?

შენს მომავალს გაზაფხულისთვის გეგმავდი, უნდა დაოჯახებულიყავი და ლამაზი ოჯახი შეგექმნა, მაგრამ შემოდგომის ეს თბილი დღე შენს ოცნებებს წინ გადაეღობა.

ჩვენ, საუკეთესო შვილი, რძალი და შვილიშვილები დაგვრჩა, ისინი ყველაფერს აკეთებენ ჩვენი ტკივილის შესამსუბუქებლად, გვყვავს უამრავი მეგობარი, შენი თანაკლასელები, ნაცნობები, მეზობლები, ყველას ახსოვხარ და ტკივილით გიხსენებენ, შვილო ზაზა, მაგრამ ვერანაირი თანაგრძნობა ვერ უშველის იმ ტკივილს, იმ მონატრებას შენგან რომ დაგვრჩა. რა დაგვრჩა ერთი უშვილო, უძირო ბიჭისგან? კეთილი მოგონებები, უსაძღვრო სიყვარული, გადიდებული სურათი ღიმილნარევი სახით და საფლავი ერთი უდანაშაულო, უცოდველი ბიჭისა.

შვილო ზაზა, მე და მამაშენს დაგვრჩა მოურჩენელი ტკივილი, შენი უაზროდ გაფრენილი სიცოცხლისა, ზღვა ცრემლი, რომელიც ვერაფერმა დააშრო და ერთადერთი ნატვრა იქნებ აღარ გათენდეს ხვალინდელი დღე, იქნებ.

ზაზა, ღმერთმა შეიწყალოს შენი ლამაზი სული, ამყოფოს ნათელში და დაგიმკვიდროს სასუფეველი მართალთა გვერდით. ამინ!

შენი საყვარელი მშობლები და ძმის ოჯახი.

დედოფლისწყაროში ბიოუსაფრთხოების პუნქტი აშენდება

ქვეყნის მასშტაბით 6 ბიოუსაფრთხოების პუნქტი მოეწყობა, რომელიც დედოფლისწყაროს, სიღნაღის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის ტერიტორიებზე განთავსდება. ექვსი პუნქტიდან ორს გარდაბანსა და მარნეულში "მერსი ქორფსი" ააშენებს, ხოლო ოთხს (დედოფლისწყაროში, სიღნაღსა, თელავსა და ბოლნისში) - სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო. სექტემბრის ბოლოს დასრულდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერი ორი ბიოუსაფრთხოების პუნქტის მშენებლობაზე დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში.

პირუტყვის გადასარეკად საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა უკვე დაიწყო. სპეციალურად შერჩეულ ადგილებში მოეწყობა ორი ბიოუსაფრთხოების პუნქტი. თითოეულ პუნქტზე დღეში საშუალოდ 8 000 ცხვრის გაბანება იქნება შესაძებელი. მშენებლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფს"-ის ერთობლივი ძალისხმევით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის" (ALCP) ფარგლებში ხორციელდება. „ALCP"-ის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „გლობალ სერვის +"-მა, ტენდერით განსაზღვრული პირობების თანახმად, ბიოუსაფრთხოების პუნქტების მოწყობა ოქტომბრის შუა რიცხვებში უნდა დასრულდეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განმარტებით, თანამედროვე სტანდარტების ბიოუსაფრთხოების პუნქტების მოწყობა, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვასა და დაავდებების გავრცელების შემცირებას შეუწყობს ხელს".

ბიოუსაფრთხოების პუნქტები გულისხმობს შემოღობილ, ბეტონის საფარით მოწყობილ ტერიტორიას, სადაც განთავსებული იქნება პირუტყვის სადეზინფექციო გასაბანი აუზები, სადეზინფექციო საშხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტი. გადასარეკი ტრასების აღდგენა, მოდერნიზება და ბიოუსაფრთხოების პუნქტების მოწყობაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და „ მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამას" შორის მიმდინარე წლის მარტში გაფორმდა.

მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი ამბობს, რომ ამგვარი პუნქტების მოწყობაზე რამდენიმე წელია საუბრობს და მოხარულია, რომ ამჯერად პროექტი უკვე ხორციელდება. თუმცა, გონაშვილი მიიჩნევს, რომ სხვა, გაცილებით საჩქარო პრობლემები რჩება გადასაჭრელი და უმჯობესი იქნებოდა, იქიდან დაეწყოთ.

„2010 წლიდან ვაპელირებდით ცხვრის გადასარეკ ტრასებზე და ბიო პუნქტებზე, თუმცა ამდენი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა, თუმცა რაღაც ნაბიჯები მაშინვე გადაიდგა. ჩვენი მთავარი სატკივარი გადასარეკი ტრასის დემარკაციაა, ეს პრობლემა უფრო მეტად გვაწუხებს. ბევრი მწვავე წერტილია, სადაც დაპირისპირება ხდება და მნიშვნელოვანია, რომ ეს მოგვარდეს და განისაზღვროს, რა არის მეცხვარეების და რა ადგილობრივების. ამის გამო ხშირად ხელჩართული ჩხუბის მომსწრეც ვხდებით. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დეზობარიერები და ცხვრის გასაბანებლები მოეწყოს, თუმცა მინდა გითხრათ, რომ დღესაც, ამ პუნქტების არარსებობის პირობებში, არცერთი ცხვარი არ გადის გაბანების გარეშე. მთაში წასვლამდე ორი სამი დღით ადრე ყოველთვის ხდება გაბანება. ასე რომ, ამ პუნქტების აშენება მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის კუთხით და ვეტერინარებისთვის. ამ პროცესს ცხადია ჩვენც მივესალმებით, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია გადასარეკი ტრასის დემარკაციის დროულად ჩატარება. ვფიქრობ ეს პროცესი აუცილებლად უნდა დაჩქარდეს," - აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, ვეტერინარი ამირან კოჩალიძე გაზეთ „შირაქთან" საუბრისას ამბობს, რომ ბიო პუნქტების არარსებობა არა მხოლოდ საქონლის დაავადებებს იწვევს, არამედ გადასარეკ ტრასებთან ახლოს არსებულ დასახლებებში ბავშვთა დაავადებების მატებაც შეინიშნება.

„ეს გადასარეკი ტრასები ოდითგან მოქმედებდა, მაგრამ 90-იანი წლების შემდეგ ფუნქცია და როლი დაკარგეს. მთლიანად მოისპო ის ინფრასტრუქტურა, რომელიც ცხოველთა ნორმალურ გადაადგილებას ხელს უწყობდა. დღის წესრიგში დადგა მათი ხელახლა აღდგენა და განვითარება. სამწუხაროა, მაგრამ როდესაც, „მერსი ქორფსმა" ამ პროექტზე მუშაობა დაიწყო, ძალიან გაუჭირდა იმდროინდელი რუკების მოძიება, თუ სად გადიოდა გადასარეკი ტრასები. საბოლოოდ, პროექტმა საერთაშორისო ექსპერტები მოიწვია, დადგინდა ტრასები და შეირჩა ეს ექვსი რაიონი, სადაც უნდა აშენდეს ცხოველთა მოსვენების, დაწყურების, გაბანების პუნქტები. გადაადგილების დროს, მათ ბარიდან მთაში და მთიდან ბარში გადააქვთ ინფექციური თუ ინოვაზიური დაავადებები. ამ პუნქტების გაშენების შემდეგ კი ასეთი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა მოხდება.

იმ ფონზე, როდესაც ტრასებზე აღარ არსებობს დეზო ბარიერები, ტკიპმა იმდენად განიცადა აკლიმატიზაცია, რომ ადრე ზღვის დონიდან 700-800 მეტრის ზემოთ მთაში ტკიპები უკვე არ გვხვდებოდა, მაგრამ დღეს ფერმერებისთვის ერთერთ რთულ დაავადებებს წარმოადგენს სწორედ ტკიპებით გადამტანი დაავადებები და უნდა ითქვას, რომ ეს გვხვდება მთაშიც. მაგალითად, ნინოწმინდა მაღალი რეგიონია და აქაც დგას ეს პრობლემა. თუკი თქვენ გაივლით, იმ სოფლებში, სადაც გადასარეკი ტრასები დასახლებულ პუნქტებზე გადის, ნახავთ, რომ წარმოუდგენელი სუნია, ამ პერიოდში ბავშვთა დაავადებების მაჩვენებელი მკვეთრად მატულობდა".

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ხათუნა ჯანაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს თქვენს ოჯახთან ერთად. იყავით ბედნიერი. შვილიშვილთა სიმრავლე და გახარება სდევდეს თან თქვენს ცხოვრებას. უფლის წყალობა არ მოგაკლდეთ.

ქ. დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

მარიკა პოპიაშვილს!

ძვირფასო მარიკა მასწავლებელო, თქვენი დაბადების დღე ზაფხულის სასკოლო არდადეგებს ემთხვევა, ამიტომ მოგვიანებით გილოცავთ დაბადების დღეს-28 აგვისტოს! ბედნიერებას, ულევ სიყვარულს და სიხარულს გისურვებთ. ჩვენთვის არა მხოლოდ საყვარელი პედაგოგი ბრძანდებით, არამედ მეგობარი, ერთგული დამცველი და მესაიდუმლეც. გვსურს ამგვარი ყურადღებით კვლავაც მრავალი თაობა აღგეზარდოთ. გჯეროდეთ, თქვენს ამაგსა და შრომას დაგიფასებთ და სწორედ ისეთები ვიქნებით, როგორებიც თქვენ გსურთ.

უღრმესი სიყვარულით და პატივისცემით
ხორნაბუჯის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეები.

ჯონი ჯანიაშვილს!
თიკო ლოლაშვილს!

გილოცავთ პირველი, ნანატრი შვილის ბარბარე ჯანიაშვილის დაბადებას. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. პატარა ბარბარეს გაბრწყინებულ საქართველოში ეცხოვროს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ მთელი ცხოვრების მანძილზე.

თქვენი მარი ჯანიაშვილი, ლუკა და დავით მაჭავარიანები

თემურ ჯანყარაშვილს!
ლალი ჯინიკაშვილს!

ჩვენო თემური, მთელმა რაიონმა გაიხარა თქვენი ოჯახის შექმნით. მათ შორის ვართ ჩვენც, თქვენი მეზობლები. ისეთი პატიოსანი, ჰუმანური და ალალი ადამიანი, როგორიც შენ ხარ, იშვიათია. გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას. გამრავლდით და გაიხარეთ. ვუერთდებით დედათქვენის - ლამარა პოპიაშვილის სიხარულს, რომელიც ამ დღეს მოუთმენლად ელოდა. უფალი იყოს თქვენი შემწე.

პატივისცემით, ეთერ შიუკაშვილი

ყურადღება!

მიმდინარე წლის 26 სექტემბერს „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი"-ს ორგანიზებით ჩატარდება საქველმოქმედო სამედიცინო აქცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო კლინიკისა და გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის და სხვადასხვა კლინიკების წამყვანი სპეციალისტები. კვალიფიციური მრავალდარგოვანი მედიკოსები ადგილზე განახორციელებენ სამედიცინო მომსახურებას და კონსულტაციას გაუწევენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. საქველმოქმედო აქცია დაიწყება დილის 10 საათზე დედოფლისწყაროს პოლიკლინიკის შენობაში და ყველა მსურველს გაეწევა სამედიცინო მომსახურება.

— — — —

ვაკეთებ სადღესასწაულო და საქორწინო მაკიაჟს მაღალ პროფესიულ დონეზე. მსურველები დაგვიკავშირდით:

☎ 558 511951

მადლიერება

ექიმი ის პიროვნებაა. რომელიც მუდამ ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში ათენებს და აღამებს.

დიდი ხანია, დაავადებული ვარ შაქრიანი დიაბეტით. ჩემი მკურნალი არის გამოცდილი და გულისხმიერი ექიმი **მარინა მეხრიშვილი**, რომელიც უანგაროდ მემსახურება, როგორც მის ყოფილ მასწავლებელს.

მოგეხსენებათ, რომ დიაბეტი მრავალ გართულებას იწვევს ორგანიზმში. ამ შემოდგომაზე გავხდი ავად, თავი იჩინა შაქრიანი დიაბეტის გართულებამ სახსრების მხრივ, დამეწყო კოჭ-წვივის სახსრების შეშუპება, ტკივილი, გამიძნელდა სიარული. მივაკითხე მარინა ექიმს, მან მირჩია,რომ ტაბლეტებზე და ნემსებზე ეფექტური და უფრო ეკონომიური იქნებოდა ელექტროფორეზითა და ლაზერული სხივებით მკურნალობა.

დავუჯერე მას და მივაკითხე პროფესიონალ მკურნალს **მარინა ქორიძეს**, რომლის დანიშნულებას მთელი გულისხმიერებით მიკეთებდა დახელოვნებული ექთანი **ირმა ჩალახშაშვილი**.

ორი კვირის განმავლობაში ვიმკურნალე აღნიშნული მეთოდით და საუკეთესო შედეგი მივიღე, რისთვისაც უსაზღვროდ დიდ მადლობას ვუხდი ჩემს მკურნალებს, ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

პატივისცემით, დარეჯან ყოჩიაშვილი.

იყიდება!

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.
მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:
☎ 577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

იყიდება!

იყიდება დედოფლისწყაროში თბილისის ქუჩაზე ორსართულიანი კერძო სახლი, ხეხილიანი ბაღით, ეზოში არის კაპიტალური ქა და თონე.
ფასი 21000 $ (შეთანხმებით)
მსურველები დაგვიკავშირდით:
☎ 598 411 733

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 21.09	სამშაბათი 22.09	ოთხშაბათი 23.09	ხუთშაბათი 24.09	პარასკევი 25.09	შაბათი 26.09	კვირა 27.09
დღე	18 °	20 °	22 °	21 °	20 °	20 °	20 °
ღამე	15 °	19 °	18 °	20 °	19 °	17 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნინარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.